



დემოკრატიის კვლევის ცენტრი

**ფსევდოთრელიგიური
ღირებულებები
პოლიტიკური სუბიექტების
სარჩევნო კამპანიის ფოკუსში**

მედიამონიტორინგის ანგარიში

1-ელი აგვისტო - 31 დეკემბერი, 2024

სარჩევი

შესავალი	3
ძირითადი მიზნები	5
მეთოდოლოგია.....	6
სამართლებრივი ჩარჩო	7
1. ფსევდორელიგიურ-ოჯახური ღირებულებები და რელიგია „ქართული ოცნების“ სარჩევნო პროგრამის ცენტრში	8
2. სასულიერო პირებისა და მმართველი გუნდის იდენტური წინასწარჩევნო რიტორიკა.....	11
3. სასულიერო პირების ჩართულობა „ქართული ოცნების“ წინასწარჩევნო კამპანიაში	14
4. „ქართული ოცნების“ ლიდერების შეხვედრები სასულიერო პირებთან წინასწარჩევნო კამპანიის ფარგლებში.....	17
5. „ქართული ოცნების“ მიერ მართლგადიდეალური ეკლესიისათვის წინასწარჩევნოდ გადახდილი ხარკი.....	19
6. სასულიერო პირების პროსახელიწუფლებო განცხადებები კენჭისყრის დღეს და არჩევნების შემდგომ	21
7. სასულიერო პირების მხარდაჭერა ღიად პრორუსული პოლიტიკური სუბიექტების მიმართ.....	24

შესავალი

2024 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ „ქართულმა ოცნებამ“ დაიწყო ბრძოლა კონსერვატიული განწყობების მქონე ამომრჩევლის ხმებისთვის. შესაბამისად, ხელისუფლების წინასაარჩევნო კაპანია გაჯერდა ულტრაკონსერვატიული თემებით, სადაც ცენტრალური ადგილი ფსევდორელიგიურ და ოჯახურ ღირებულებათა დაცვას ეჭირა. 2024 წლის აპრილში, საარჩევნო კამპანიის დაწყებამდე რამდენიმე თვით ადრე, „ქართული ოცნების“ საპარლამენტო უმრავლესობამ დააინიცირა კონსტიტუციური კანონპროექტი „ოჯახურ ღირებულებათა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“; პროექტი საპარლამენტო უმრავლესობამ 2024 წლის 17 სექტემბერს მესამე მოსმენით მიიღო. მკვეთრად უარყოფითი საერთაშორისო გამოხმაურების მიუხედავად, მმართველი პარტიის ინიციატივა დადებითად შეაფასა საქართველოს საპატრიარქომ:

„საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების მიერ მიღებული კანონი „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ“ დადებით წინ გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს. ვიმედოვნებთ, ეს კანონი ნაყოფიერ შედეგებს გამოიღებს ჩვენი საზოგადოების კეთილდღეობისთვის, რადგან ის მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი ნაბიჯია ქართველი ერის თვითმყოფადობის განმსაზღვრელი ტრადიციული ღირებულებების დასაცავად“.¹

ქართული რეალობისთვის მმართველი პარტიებისა და საქართველოს საპატრიარქოს მჭიდრო თანამშრომლობა უცხო არ არის. თუმცა ხელისუფლების მხრიდან რელიგიური თემებით მანიპულირების მასშტაბების მკვეთრი ზრდა, რაც, საბოლოო ჯამში, მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების ინიციატივით დაგვირგვინდა, 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებს საქართველოში 2000 წლის შემდეგ ჩატარებული სხვა არჩევნებისგან მკვეთრად განასხვავებდა.

¹ საქართველოს საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის განცხადება, ხელმისაწვდომია: <https://www.facebook.com/sazupatriarchate/posts/pfbid0Z2SvdAtx3dNc7r7ub3YnQsu5H2iki6wCCznQVX1qvwRkC F3bcvGDJJ37t4iduHu6l>

ბოლო ორი წლის განმავლობაში „ქართული ოცნების“ რიტორიკაში იმდენად გაძლიერდა ფსევდორელიგიურ-ეროვნული სენტიმენტები, რომ მმართველმა პარტიამ მთლიანად დაიკავა მანამდე მკვეთრად პრორუსული ულტრამემარჯვენე ფლანგის ნიშა. ულტრამემარჯვენე ჯგუფების მსგავსად, 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებში ხელისუფლებამ პოლიტიკურ ფოკუსში მოაქცია ფსევდორელიგიური ღირებულებები, „ოჯახის ინსტიტუტი“, გენდერული და სექსუალური იდენტობის საკითხები, რაც, სავარაუდოდ, საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი საკითხებიდან ყურადღების გადატანას ისახავდა მიზნად.

იმის გათვალისწინებით, რომ „ქართული ოცნების“ საარჩევნო კამპანია უპრეცედენტოდ იყო გაჯერებული რელიგიური თემებით, რასაც, თავის მხრივ, შემხვედრი კეთილგანწყობილი ნაბიჯები მოყვა საქართველოს საპატრიარქოს მხრიდან, მნიშვნელოვნად გაიზარდა საარჩევნო კამპანიაში რელიგიური ორგანიზაციების ჩარევის საფრთხე, რაც საქართველოს საარჩევნო კოდექსით აკრძალულია.²

შესაბამისად, მონიტორინგის მიზანს წარმოადგენდა პოლიტიკური სუბიექტების მიერ რელიგიით მანიპულირების და სასულიერო პირებისა და რელიგიური ორგანიზაციების წინასაარჩევნო კამპანიაში მონაწილეობის ფაქტების იდენტიფიცირება და ანალიზი. ანგარიშში გაანალიზებულია წინასაარჩევნო კამპანიის დროს, ერთი მხრივ, პოლიტიკური სუბიექტების მიერ რელიგიური თემებით სპეკულირების და, მეორე მხრივ, სასულიერო პირების მხრიდან ამა თუ იმ პოლიტიკური სუბიექტის მხარდამჭერი აგიტაციის, საარჩევნო სუბიექტების კამპანიაში მონაწილეობის ან სხვაგვარად ჩართულობის ფაქტები, რასაც საარჩევნო პროცესებზე გავლენის მოხდენა შეეძლო.

ანგარიში 2024 წლის 1-ელი აგვისტოდან 30 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდს მოიცავს. კვლევა ყოვლისმომცველი არ არის და მასში ვერ მოხვდა ის ფაქტები, რომლებიც პოლიტიკური სუბიექტების ან/და სასულიერო პირების სოციალური ქსელების გვერდებზე არ გამოქვეყნებულა ან/და მედიასაშუალებებში არ გაშუქებულა.

² საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხლი 45.4.ზ)

ძირითადი მიზნები

- ხელისუფლების მხრიდან რელიგიური თემებით მანიპულირების მასშტაბების მკვეთრი ზრდა, რაც, საბოლოო ჯამში, მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების ინიციატივით დაგვირგვინდა, 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებს სხვა არჩევნებისგან მკვეთრად განასხვავებდა.
- ბოლო ორი წლის განმავლობაში „ქართული ოცნების“ რიტორიკაში ისე გაძლიერდა ფსევდორელიგიურ-ეროვნული სენტიმენტები, რომ მმართველმა პარტიამ მთლიანად დაიკავა მანამდე მკვეთრად პრორუსული ულტრამემარჯვენე ფლანგის ნიშა.
- მმართველი გუნდი მართლმადიდებელი ეკლესიისა და მისი მრევლის კეთილგანწყობის მოპოვებას საპატრიარქოსთვის სახელმწიფო საკუთრების და საბიუჯეტო თანხების გადაცემითაც შეეცადა. 2024 წელს საპატრიარქოს დაფინანსებამ სახელმწიფო ბიუჯეტიდან 64 მილიონი ლარი შეადგინა.
- 2024 წელს საპატრიარქომ სიმბოლურ ფასად მიიღო ასიათასობით კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთები მასზე დამაგრებული შენობა-ნაგებობით გორში, მანგლისში, ხობში, ქუთაისში, მცხეთასა და თბილისში.
- საარჩევნო კამპანიის დაწყებისთანავე, ინტენსიური გახდა „ქართული ოცნების“ ლიდერების ვიზიტები მართლმადიდებელ ტაძრებსა და სამლოცველოებში. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით აქტიური იყო პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე, რომელმაც 2024 წლის 14 ოქტომბერს, სვეტიცხოველში შეკრებილ მრევლს ამბიონიდან მიმართა.
- მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა სასულიერო პირების მხარდაჭერა მმართველი პარტიისადმი, რაც გამოვლინდა ეკლესიის მრევლთან იმ თემებზე საუბრით, რომლებიც მმართველი გუნდის წინასაარჩევნო კამპანიის მთავარი გზავნილები იყო: სამოქალაქო სექტორისა და ოპოზიციის დისკრედიტაცია, ომში ჩათრევის საფრთხე, ანტიამერიკული და ანტიევროპული გზავნილები, ფსევდოოჯახური დირებულებების დაცვა და ანტილგბტ პროპაგანდა.
- უშუალოდ კენჭისყრის წინა დღეებში, საპატრიარქომ შეფარული გზავნილებით ხელისუფლებას ღია მხარდაჭერა გამოუცხადა. მან განაცხადა, რომ ერთმნიშვნელოვნად იქნებოდა ისეთი არჩევანის მხარდამჭერი, რომელიც „ხანგრძლივ მშვიდობას და ქრისტიანული და ოჯახური ტრადიციების გამყარებას შეუწყობდა ხელს“.

- ხელისუფლების მხარდამჭერ გზავნილებთან ერთად რამდენიმე სასულიერო პირმა ოპოზიცია დასავლეთთან, ამერიკასთან და სამოქალაქო სექტორთან ერთად, ქვეყნის ომში ჩათრევის მიზნით მოქმედებაში დაადანაშაულა.
- საპატრიარქოს ოფიციალურ ფეისბუკგვერდზე განთავსებული განცხადების მიხედვით, ცესკოს მიერ შედეგების შეჯამებისთანავე, პატრიარქმა „ქართულ ოცნებას“ არჩევნებში გამარჯვება მიულოცა.
- კიდევ ერთი პოლიტიკური ძალა, რომელსაც შედარებით ნაკლებად გავლენიანი სასულიერო პირები ღიად უცხადებდნენ მხარდაჭერას, იყო ღიად პრორუსული ულტრამემარჯვენე პოლიტიკური პარტია „პატრიოტთა ალიანსი“.

მეთოდოლოგია

დემოკრატიის კვლევის ცენტრი სოციალური ქსელებისა და მედიამონიტორინგის გზით აკვირდებოდა სასულიერო პირების წინასაარჩევნო კამპანიაში მონაწილეობისა და საარჩევნო სუბიექტების მიერ რელიგიური თემატიკით მანიპულირების ფაქტებს. ორგანიზაციის მონიტორინგი 2024 წლის 27 აგვისტოდან 31 დეკემბრის ჩათვლით აკვირდებოდნენ მაღალი რანგის სასულიერო პირების ანგარიშებს სოციალური ქსელებში, ასევე, სხვადასხვა მედიასაშუალებების (სამთავრობო და ოპოზიციური მედიარხების და მათი სოციალური ქსელების), საქართველოს პრემიერ-მინისტრის, პარლამენტის თავმჯდომარის და პოლიტიკური პარტიების (განსაკუთრებით, მმართველი პარტიის) ხელმძღვანელებისა და დელეგატების ფეისბუკგვერდებს.

მონიტორინგის დროს შეფასდა:

- აკეთებდნენ თუ არა მღვდელმსახურები პოლიტიკური შინაარსის განცხადებებს;
- მონაწილეობდნენ თუ არა სასულიერო პირები წინასაარჩევნო დონისძიებებში;
- არსებობდა თუ არა სასულიერო პირთა მხრიდან ამომრჩეველთა ნების ფორმირებაზე ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობა;
- როგორი იყო პოლიტიკური პარტიების დამოკიდებულება სასულიერო პირების პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობასთან დაკავშირებით;

- იყენებდნენ თუ არა პოლიტიკური პარტიები რელიგიურ თემატიკას წინასაარჩევნო კამპანიაში.

ანგარიშის მიზნებიდან გამომდინარე, ასევე, შვეიცარიაში ულტრამემარჯვენე პოლიტიკური ჯგუფების აქტიურობა როგორც სოციალურ ქსელებში, ასევე, სხვადასხვა მედიასაშუალებებში. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა იმ გზავნილებზე, რასაც, სავარაუდოდ, შეეძლო, გავლენა მოეხდინა წინასაარჩევნო გარემოზე.

სამართლებრივი ჩარჩო

საქართველოს საარჩევნო კოდექსის მიხედვით რელიგიურ ორგანიზაციას წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევისა და აგიტაციაში მონაწილეობის უფლება არა აქვს. აგიტაციის წარმოადგენს არა მხოლოდ საარჩევნო სუბიექტის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ გაკეთებული აქტიური მოწოდება, არამედ გარკვეული ქმედებაც, მათ შორის, წინასაარჩევნო ღონისძიების ორგანიზებაში/ჩატარებაში მონაწილეობა.³ შესაბამისად, აგიტაციად ჩაითვლება მღვდელმსახურთა დასწრება საარჩევნო ღონისძიებებზე.

ფორმალური თვალსაზრისით მღვდელმსახურები (მიუხედავად მათი ავტორიტეტის და გავლენის ხარისხისა) გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობენ და მათ აკრძალული არა აქვთ წინასაარჩევნო კამპანიაში მონაწილეობა. საკანონმდებლო აკრძალვა მხოლოდ რელიგიურ ორგანიზაციებსა და მათ ოფიციალურ წარმომადგენლებზე ვრცელდება. თუმცა ამგვარი განმარტება ვერ უზრუნველყოფს კანონმდებლის მიზნის მიღწევას და თავისუფალი საარჩევნო გარემოს შექმნას.

აგიტაციის წესების დარღვევისთვის გათვალისწინებულია ჯარიმა 2000 ლარი,⁴ თუმცა პრაქტიკაში ეს დანაწესი, როგორც წესი, არ გამოიყენება. ამის მიზეზს, შესაძლოა, ნორმის განმარტების სირთულეც წარმოადგენდეს.

³ საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხლი 2, ქვეპუნქტი 3¹

⁴ იქვე, მუხლი 79.1

1. ფსევდორელიგიურ-ოჯახური ღირებულებები და რელიგია „ქართული ოცნების“ საარჩევნო პროგრამის ცენტრში

2024 წლის 2 სექტემბერს ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში დეკანოზი ანდრია ჯალმაიძე გამოეხმაურა „ქართული ოცნების“ საკანონმდებლო ინიციატივას „ოჯახურ ღირებულებათა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“ და განაცხადა, რომ მოცემული საკანონმდებლო ინიციატივის მიღების მთავარი მიზეზი ის გახდა, რომ გარკვეული არასამთავრობო ორგანიზაციები და ოპოზიციური ძალები ლგბტ პროპაგანდას ეწევიან.⁵

მსგავსი შინაარსის განცხადება გააკეთა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ. მისი განცხადებით, ლგბტ პროპაგანდის მიღმა საქართველოს პრეზიდენტის სალომე ზურაბიშვილი და ოპოზიციური პარტიები დგანან:⁶

„სალომე ზურაბიშვილი, ისევე, როგორც მთლიანად რადიკალური ოპოზიცია, დადგა ლგბტ პროპაგანდის მხარეს. ეს არის მათი არჩევანი. უფრო სწორად, ეს არის არა მათი არჩევანი, არამედ მათი დავალება. წარმოიდგინეთ, ახლა არის საარჩევნო პერიოდი და ყველამ ძალიან კარგად იცის, რომ საზოგადოების 90 პროცენტზე მეტი მხარდაჭერა აქვს ამ კანონს.“

წინასაარჩევნო კონტექსტში რელიგიის და საპატრიარქოს პოლიტიკურ ინსტრუმენტად გამოყენების მცდელობამ კიდევ უფრო ფართო მასშტაბი შეიძინა მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების ინიციატივის სახით, რომელიც თავად საეკლესიო პირმა, ახალქალაქისა და კუმურდოს და კარის მიტროპოლიტმა ნიკოლოზ ფაჩუაშვილმა შეაფასა ხელისუფლების წინასაარჩევნო შემოთავაზებად.⁷

⁵ დეკანოზ ანდრია ჯალმაიძის განცხადება, ხელმისაწვდომია: <https://www.facebook.com/watch/?v=836526321571641>

⁶ 1tv.ge, „ირაკლი კობახიძე - ზურაბიშვილი, რადიკალური ოპოზიცია დადგენ ლგბტ პროპაგანდის მხარეს, როდესაც ვერ ახერხებ, დადგე იქ, სადაც საზოგადოების უმრავლესობაა, ნიშნავს, რომ მოქმედებ მხოლოდ დავალებებით,“ 3 ოქტომბერი 2024 წელი, ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/GzJIK>

⁷ რადიო თავისუფლება, 29 აგვისტო, 2024, „ვინც არ უნდა შეფუთოს სხვანაირად, წინასაარჩევნო შემოთავაზებაა“ - მიტროპოლიტი „ოცნების“ წინადადებაზე“, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/33098593.html>

2024 წლის 20 აგვისტოს ცნობილი გახდა სამი პირობა, რომლის შესრულებასაც „ქართული ოცნება“ საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვების შემთხვევაში ამომრჩეველს ჰპირდებოდა:⁸

1. პოლიტიკიდან კოლექტიური „ნაციონალური მოძრაობის“ ჩამოშორება;
2. ანტილგბტ კონსტიტუციური კანონმდებლობის მიღება; და
3. მშვიდობიანი გზით საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა.

2024 წლის 25 აგვისტოს ამბროლაურში მხარდამჭერებთან შეხვედრისას, ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ „ქართული ოცნების“ სამ დაპირებასთან ერთად, არსებობდა მეოთხე პუნქტიც: „ჩვენი ქვეყნისა და **სარწმუნოებისათვის** ეგზისტენციალურად მნიშვნელოვანი საკითხი, რომლის თაობაზეც მიმდინარეობს აქტიური მუშაობა“.⁹ ის, რომ ბიძინა ივანიშვილის განცხადება მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების ინიციატივას მოიაზრებდა, 27 აგვისტოს ირიბად დაადასტურა საპატრიარქოს პროტოპრესვიტერმა გიორგი ზვიადაძემ.¹⁰ „ეს არის ძალიან კორექტული, ძალიან მშვიდი და არგუმენტირებული საუბარი იმასთან დაკავშირებით, რაც უკავშირდება სამართლებრივ მოდელებს ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის.“ 28 აგვისტოს საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა ანდრია ჯაღმაიძემ „თავაზიანობის აქტი“ უწოდა ხელისუფლების მხრიდან მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად აღიარების ინიციატივას და დაადასტურა, რომ ინიციატივის ზუსტ ფორმულირებასთან დაკავშირებით მსჯელობები აქტიურად მიმდინარეობს.¹¹

⁸ „ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭოს განცხადება ხელმისაწვდომია:

https://www.facebook.com/photo?fbid=1070769791080485&_type=photo&set=a.488868739270596

⁹ ბიძინა ივანიშვილის სიტყვით გამოსვლა ამბროლაურში ხელმისაწვდომია:

https://www.facebook.com/photo/?fbid=1074334167390714&_type=photo&set=pcb.1074334444057353

¹⁰ interpressnews.ge, 28 აგვისტო 2024 წელი, „გიორგი ზვიადაძე - სახელმწიფო ეკლესიად გამოცხადება გულისხმობს სახელმწიფოსადმი გარკვეულ დაქვემდებარებას, რაც რისკებს შეიცავს - ეკლესიის დამოკიდებულებაა, რომ შენარჩუნდეს არსებული სამართლებრივი მოდელი“, ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/NbNIS>

¹¹ rustavi2.ge, „სახელმწიფოს მხრიდან ეს არის შემოთავაზება, თავაზიანობის აქტი, რომელიც გულისხმობს საკონსტიტუციო ჩანაწერით ეკლესიის სტატუსის გაძლიერებას - ანდრია ჯაღმაიძე“, 28 აგვისტო 2024 წელი, ხელმისაწვდომია: <https://rustavi2.ge/ka/news/290163>

2024 წლის 1-ელ სექტემბერს პროტოპრესვიტერმა გიორგი ზვიადაძემ საზოგადოებას განუცხადა: „30 აგვისტოს გაიმართა შეხვედრა საპატრიარქოს წარმომადგენლებსა და „ქართული ოცნების“ ლიდერებს შორის, სადაც შედგა შეთანხმება, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-8 მუხლის პირველ ქვეპუნქტში გაჩნდება შემდეგი შინაარსის ჩანაწერი: „მართლმადიდებლური ქრისტიანობა საქართველოს სახელმწიფოს იდენტობის საყრდენია“. გიორგი ზვიადაძემ ასევე დაადასტურა, რომ ხელისუფლების პირველადი ინიციატივა მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას გულისხმობდა, თუმცა ეს საკითხი ეკლესიისთვის „მიუღებელი“ აღმოჩნდა.¹²

„ქართული ოცნების“ მოლოდინის საწინააღმდეგოდ, ხელისუფლების ინიციატივას მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებასთან დაკავშირებით, სასულიერო წრეებში კეთილგანწყობით არ შეხვდნენ. ახალქალაქის, კუმურდოსა და კარის მიტროპოლიტ ნიკოლოზ ფაჩუაშვილის განცხადებით: „სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება ნიშნავს იმას, რომ ეკლესია არ არის დამოუკიდებელი სახელმწიფოსგან და შესაბამისად, სახელმწიფო არ არის დამოუკიდებელი ეკლესიისგან.“¹³

რელიგიის პოლიტიზებული ინსტრუმენტალიზაციის საფრთხე დაინახა „ქართული ოცნების“ ინიციატივაში დმანისისა და აგარაკ-ტაშირის მთავარეპისკოპოსმა ზენონმა: „ეს ინიციატივა არსებითად გულისხმობს ეკლესიის ინსტიტუციურ დაქვემდებარებას სახელმწიფო ხელისუფლებისადმი.“¹⁴ საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესიის მიტროპოლიტ მალხაზ სონღულაშვილის განცხადებით: „მუძღებელია, ადამიანმა წარმოიდგინოს ამაზე უხეში და უკუღმართი ფორმა რელიგიისა და სახელმწიფოს ურთიერთობისა, როგორც არის ამა თუ იმ რელიგიის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება“.¹⁵

¹² expressnews.ge, “ცნობილი გახდა, რაზე შეთანხმდა ქართული ოცნება და საპატრიარქო”, 1-ელი სექტემბერი 2024 წელი, ხელმისაწვდომია: <https://expressnews.ge/index.php?id=186617&lang=undefined>

¹³ netgazeti.ge, “„ოცნება“ საპატრიარქოს მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას სთავაზობს – „ფორმულა“, 27 აგვისტო 2024 წელი, ხელმისაწვდომია: <https://netgazeti.ge/life/739437/>

¹⁴ interpressnews.ge, „მთავარეპისკოპოსი ზენონი - საქართველოში მართლმადიდებელი ეკლესიის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების განაცხადი შეცდომაა“, 28 აგვისტო 2024 წელი, ხელმისაწვდომია: <https://www.interpressnews.ge/ka/article/810248-mtavarepiskoposi-zenoni-sakartveloshi-martlmadidebeli-eklesiis-saxelmcipo-religiad-gamocxadebis-ganaxadi-shecdomaa/>

¹⁵ radiotavisupleba.ge, 28 აგვისტო 2024 წელი, ხელმისაწვდომია: „ეს ეკლესიის წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯი იქნება“ - წინასაარჩევნო საუბრები სახელმწიფო რელიგიაზე”. <https://shorturl.at/PdjWR>

2. სასულიერო პირებისა და მმართველი გუნდის იდენტური წინასაარჩევნო რიტორიკა

მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა სასულიერო პირების მხარდაჭერა ხელისუფლებისადმი, რაც გამოვლინდა მრევლისადმი იმ თემებზე აპელირებით, რომელიც „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო კამპანიის მთავარი გზავნილები იყო:

1. სამოქალაქო სექტორისა და ოპოზიციის დისკრედიტაცია;
2. ომში ჩათრევის საფრთხე;
3. ანტიამერიკული და ანტიევროპული გზავნილები;
4. ფსევდოოჯახური ღირებულებების დაცვა და ანტილგბტ პროპაგანდა.

მითი იმის შესახებ, რომ ოპოზიციური ძალები საქართველოს ომში ჩაბმას ცდილობდნენ, ერთ-ერთი მთავარი გზავნილია, რასაც მმართველი გუნდი 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის იყენებდა. პარტიის დამფუძნებელი ბიძინა ივანიშვილი ყველა ჩატარებულ შეხვედრაზე ხაზს უსვამდა, რომ 26 ოქტომბერს ხალხს არჩევანი მშვიდობასა და ომს შორის უნდა გაეკეთებინა: „26 ოქტომბერს არჩევანს ვაკეთებთ **ომსა და მშვიდობას**, ფსევდოლიბერალურ ღირებულებებსა და ეროვნულობაზე, ოჯახზე, **რწმენასა** და დამოუკიდებლობაზე დაფუძნებულ ფასეულობებს შორის, არჩევანს ვაკეთებთ ჩვენი ქვეყნის ღირსეულ ევროპულ მომავალსა და იმ მიუღებელ მოცემულობას შორის, რაც რადიკალურ ოპოზიციას და უცხოელ აქტორებს ევროპულობად სურთ, რომ გაასაღონ.“¹⁶

მსგავსი გზავნილები ჰქონდა ბოლბელ მთავარეპისკოპოსს იაკობს, რომელიც თავის ყველა ქადაგებაში ხაზს უსვამდა იმას, რომ სამოქალაქო სექტორი, ოპოზიცია, ამერიკა და ევროპა საქართველოს ომში ჩართვას ცდილობს. მაგალითად, 2024 წლის 21 ივლისის ქადაგებაში მთავარეპისკოპოსი იაკობმა ხაზი გაუსვა, რომ დასავლეთი, ამერიკა, ოპოზიცია და სამოქალაქო სექტორი, თუ თავის მიზანს მიაღწევს და **ომში**

¹⁶ 1tv.ge, 8 სექტემბერი 2024 წელი, „ბიძინა ივანიშვილი - დღეს ჩართულნი ვართ არა წინასაარჩევნო კამპანიაში, არამედ ბრძოლაში მშვიდობის, ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტის, ჩვენი ტრადიციებისა და ფასეულობების დასაცავად“, ხელმისაწვდომია: <https://1tv.ge/news/bidzina-ivanishvili-dghes-chartulni-vart-ara-winasaarchevno-kampaniashi-aramed-brdzolashi-mshvidobis-chveni-qveynis-suverenitetis-chveni-tradiciebisadafaseulobebis-dasacavad/>

ჩაითრევს ქვეყანას, საქართველოს გამო თავს არავინ შეიწუხებს: „ომი თუ დაიწყეს ჩვენს გამო თავს არავინ შეიწუხებს. გავდით ჩვენ და რუსეთს უბნებიან ქსუო.“¹⁷

2024 წლის 10 ოქტომბერს ტელეკომპანია „იმედმა“ გავრცელა ჭყონდიდის, ცაგერისა და ლენტეხის ეპარქიის მიტროპოლიტის სტეფანეს სიტყვები: „ვინც დღეს საქართველოს აბრუებს დასავლური ღირებულებებით, გვეუბნებიან, რომ თუ გვი მიმართულებას არ აირჩევთ, ჩვენთან ადგილი არ გექნებათ, - ჩვენ დმერთი უნდა ავირჩიოთ და ვინც იქნება ღვთის მხარეზე, პარტიები თუ ადამიანები, მათთან ერთად ვეცადოთ, ჩვენი თვითმყოფადობა შევინარჩუნოთ. მე არ მინდა, რომ პარტიული მიმართულებით ვილაპარაკო, . . . საქროთა, **სწორი არჩევანის გაკეთება და არც ერთ შემთხვევაში არ უნდა მივცეთ არავის უფლება, რომ ქვეყანაში ხელისუფლება გადაყირაონ ვიდაცების განცხადებებით ან ძალმომროებით.**“¹⁸

2024 წლის არჩევნების მიმოხილვით დაიწყო ქადაგება 14 ოქტომბერს დეკანოზმა დავით ლასურაშვილმა. მისი ქადაგებით, ქრისტიანულ-ეროვნულ ღირებულებებსა და მშვიდობას ხელისუფლება უზრუნველყოფდა. დეკანოზმა მრევლს მოუწოდა: „ქრისტიანმა ადამიანმა არჩევანი უნდა გააკეთოს იმ ძალაზე, რომელიც ეროვნული და ქრისტიანული ფასეულობების დამცველია და სამომავლოდაც ამავეს გვპირდება.“ მისი განცხადებით, „3-4 წლის წინ, 15 ოპოზიციურმა პარტიამ ხელი მოაწერა ე.წ. ლგბტ მემორანდუმს“ და დასძინა, „**ნუთუ შეიძლება ქრისტიანმა ადამიანმა ამ პარტიებს მისცეს ხმა.**“ ამის საპირწონედ, დეკანოზმა პოზიტიურად შეაფასა „ქართული ოცნება“ და აღნიშნა: „**ბოლო რამდენიმე წელია, შეინიშნება, ხელისუფლების სწორი ქმედებები ქვეყნის ღირსების, სუვერენიტეტის და ტრადიციული ღირებულებების დაცვის მიმართულებით, რამაც, ვფიქრობ, რომ ჩვენი სამშობლოს კალაპოტში დაბრუნებას უნდა შეუწყოს ხელი.**“¹⁹

¹⁷ მთავარეპისკოპოს იაკობის ქადაგება,

ხელმისაწვდომია: <https://www.facebook.com/watch/?v=7958182737601025>

¹⁸ imedineews.ge, 10 ოქტომბერი 2024 წელი, „მეუფე სტეფანე: ვინც დღეს საქართველოს აბრუებს დასავლური ღირებულებებით, გვეუბნებიან, რომ თუ გვი მიმართულებას არ აირჩევთ, ჩვენთან ადგილი არ გექნებათ, - ჩვენ დმერთი უნდა ავირჩიოთ და ვინც იქნება ღვთის მხარეზე, პარტიები თუ ადამიანები“, ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/5tHXZ>

¹⁹ დეკანოზ დავით ლასურაშვილის ქადაგება,

ხელმისაწვდომია: <https://www.youtube.com/watch?v=lmz7w1N3tdQ>

14 ოქტომბერს, ქადაგებაში ზნეობისა და ქრისტიანული ფასეულობების დაცვაზე გამახვილა ყურადღება დეკანოზმა დავით ისაკაძემ. მან ქადაგების დასასრულს ისაუბრა არჩევნებზე და აღნიშნა: „ჩვენ, ეკლესია, არ ვერვით არჩევნებში, არ ვერვით პოლიტიკურ საქმიანობაში, თუმცა ჩვენი მოვალეობაა, ხმა მივცეთ და მხარი დავუჭიროთ ღვთისა და სამშობლოს სიყვარულს, ზნეობას და ვინც ამას ამბობს და ატასრულებს, ის უნდა ავირჩიოთ. მეორე მხარეს კი არიან ღვთის მგმობი ადამიანები, რომლებიც **ღებტ დროშებით დარბიან**. სწორედ ამის მიხედვით უნდა გავაკეთოთ არჩევანი.“²⁰

ხანგრძლივი მშვიდობისა და „ოჯახური ტრადიციების“ დაცვაზე გააკეთა აქცენტი საქართველოს საპატრიარქომ და ხელისუფლების იდენტური გზავნილებით შეეხმიანა 26 ოქტომბრის არჩევნებს. 22 ოქტომბერს, საქართველოს საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით გაავრცელა განცხადება, სადაც განმარტა, რომ „პოლიტიკურ მხარედ ვერ წარმოჩინდება“, თუმცა იქვე მიუთითა, რომ „ერთმნიშვნელოვნად იქნება მხარდაჭერი ისეთი არჩევანისა, რომელიც საქართველოს მოუტანს ხანგრძლივ მშვიდობას და საზოგადოებაში იმ ღირებულებების განმტკიცებას, რომლებიც ქრისტიანული და ოჯახური ტრადიციების გამყარებას შეუწყობს ხელს.“²¹ იმის გათვალისწინებით, რომ „მშვიდობა“, „მშვიდობის უზრუნველყოფა“ და „ოჯახური ტრადიციები“ „ქართული ოცნების“ წინააღმდეგობა კამპანიის მთავარი ლოზუნგი იყო, საპატრიარქოს პოზიცია ხელისუფლების მხარდაჭერად აღიქმებოდა.

²⁰ მამა დავით ისაკაძის ქადაგება,

ხელმისაწვდომია: <https://www.youtube.com/watch?app=desktop&v=IhnwrBF7L-0>

²¹ საქართველოს საპატრიარქოს განცხადება, ხელმისაწვდომია:

<https://www.facebook.com/sazupatriarchate/posts/pfbid0Hc8mYEAYRNjDUPRxyDyhXn8UAPSeAS1kaKQLRrLB1Ee5UmrNibXvqKMDgbyS8JI>

3. სასულიერო პირების ჩართულობა „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო კამპანიაში

2024 წლის 1-ელი აგვისტოდან 26 ოქტომბრის ჩათვლით მმართველი გუნდის ლიდერებმა ბიძინა ივანიშვილმა, შალვა პაპუაშვილმა, ირაკლი კობახიძემ, ირაკლი ღარიბაშვილმა და მამუკა მდინარაძემ საარჩევნო კამპანიის ფარგლებში მასშტაბური ღონისძიებები ჩაატარეს ექვს ქალაქში: თელავში, რუსთავში, ოზურგეთში, გორში, ახალციხესა და თბილისში.

დემოკრატიის კვლევის ცენტრის დაკვირვებით, სასულიერო პირები „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო შეხვედრებს, სულ მცირე, **სამ ქალაქში ესწრებოდნენ**, თუმცა მონაწილეებისთვის სიტყვით არ მიუმართავთ.

- 30 აგვისტო - „ქართული ოცნების“ საარჩევნო კამპანიის რეგიონული ღონისძიება ოზურგეთში.²²
- 15 სექტემბერი - „ქართული ოცნების“ საარჩევნო კამპანიის რეგიონული ღონისძიება გორში.²³ საარჩევნო კამპანიის ფარგლებში მმართველი გუნდის ლიდერებმა ირაკლი კობახიძემ, კახა კალაძემ, შალვა პაპუაშვილმა და მამუკა მდინარაძემ გორში მშენებარე ტაძარიც მოინახულეს, რომელიც **ფონდი „ქართუს“** მხარდაჭერით შენდება.²⁴
- 19 სექტემბერი - „ქართული ოცნების“ საარჩევნო კამპანიის რეგიონული ღონისძიება რუსთავში.



²² „ქართული ოცნების“ რეგიონული ღონისძიება ოზურგეთში, ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/17C5m>
²³ „ქართული ოცნების“ რეგიონული ღონისძიება გორში, ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/UC3Ug>
²⁴ ირაკლი კობახიძის, კახა კალაძის, შალვა პაპუაშვილისა და მამუკა მდინარაძის ვიზიტი გორის აღდგომის სახელობის ტაძარში, ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/RnVzI>

სასულიერო პირები ჩართულები იყვნენ „ქართული ოცნების“ დელეგატთა საარჩევნო შეხვედრებსა და ღონისძიებებში. აქაც სასულიერო პირებს დამსწრეებისთვის სიტყვით არ მიუმართავთ.

- 4 სექტემბერს ზუგდიდში „ქართული ოცნების“ დელეგატის, დავით კოდუას წინასა-არჩევნო შეხვედრას სოფელ რიყეში სასულიერო პირი შალვა კეკელია ესწრებოდა.²⁵
- 10 სექტემბერს ხაშურისა და ქარელის მაჟორიტარი დეპუტატის ზაალ დუგლადის შეხვედრას ქარელში სასულიერო პირი ესწრებოდა.²⁶
- 13 სექტემბერს სამტრედიის, წყალტუბოს, ვანისა და ხონის მაჟორიტარი დეპუტატის გივი ჭიჭინაძის წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში ჩატარებულ შეხვედრას სასულიერო პირი ესწრებოდა.²⁷
- 14 სექტემბერს ზუგდიდის „ქართული ოცნების“ დელეგატმა დავით კოდუამ მოქალაქეებთან შეხვედრა ჯუმის ადმინისტრაციულ ერთეულში გამართა. შეხვედრას ესწრებოდა დეკანოზი ბესარიონი.²⁸
- 23 სექტემბერს ზუგდიდში „ქართული ოცნების“ დელეგატის, დავით კოდუას წინასაარჩევნო შეხვედრას ანაკლიაში სასულიერო პირი ესწრებოდა.²⁹
- 28 სექტემბერს გაიმართა „ადიგენობა 2024“. ადგილობრივ მცხოვრებლებს სახალხო დღე ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტმა მეუფე თეოდორემ, მაჟორიტარმა დეპუტატმა ანტონ ობოლაშვილმა, ადიგენის მუნიციპალიტეტის მერმა გოჩა ქიმაძემ და საკრებულოს თავმჯდომარემ შმაგი ბიძიშვილმა მიულოცეს.³⁰
- 26 სექტემბერს, „ქართული ოცნების“ საგარეჯოს დელეგატის დავით სონღულაშვილის მოქალაქეებთან შეხვედრას სასულიერო პირიც ესწრებოდა.³¹

²⁵ „ქართული ოცნების“ დელეგატის დავით კოდუას შეხვედრა სოფელ რიყეში, ხელმისაწვდომია:

<https://www.facebook.com/photo.php?fbid=122110144880481190&set=pb.61564435721595.-2207520000&type=3>

²⁶ „ქართული ოცნების“ ხაშურისა და ქარელის მაჟორიტარი დეპუტატის ზაალ დუგლადის შეხვედრა ქალაქ ქარელში, ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/le582>

²⁷ „ქართული ოცნების“ სამტრედიის, წყალტუბოს, ვანისა და ხონის მაჟორიტარი დეპუტატის გივი ჭიჭინაძის შეხვედრა წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/FLUox>

²⁸ „ქართული ოცნების“ დელეგატის, დავით კოდუას შეხვედრა სოფელ ჯუმში, ხელმისაწვდომია:

<https://www.facebook.com/photo.php?fbid=122112591764481190&set=pb.61564435721595.-2207520000&type=3>

²⁹ „ქართული ოცნების“ დელეგატის დავით კოდუას შეხვედრა ანაკლიაში, ხელმისაწვდომია:

<https://www.facebook.com/photo.php?fbid=122114274104481190&set=pb.61564435721595.-2207520000&type=3>

³⁰ „ადიგენობა 2024“, ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/piotY>

³¹ „ქართული ოცნების“ საგარეჯოს დელეგატის მოქალაქეებთან შეხვედრა, ხელმისაწვდომია:

<https://www.facebook.com/photo.php?fbid=1023216316481652&set=pb.100063798787034.-2207520000&type=3>

- 2 ოქტომბერს ახალციხის, ადიგენის, ბორჯომისა და ასპინძის მაჟორიტარი დეპუტატის, ანტონ ობოლაშვილის მოსახლეობასთან შეხვედრას მონაზონი ესწრებოდა.³²
- 8 ოქტომბერს ზესტაფონის, ბაღდათის, თერჯოლისა და ტყიბულის დელეგატის ზვიად შალამბერიძის წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში ჩატარებულ შეხვედრას სასულიერო პირი ესწრებოდა.³³
- 13 ოქტომბერს ფოთის, ხობისა და სენაკის დელეგატის გიორგი ხახუბიას მიერ ჩატარებულ შეხვედრას სასულიერო პირი ესწრებოდა.³⁴
- 17 ოქტომბერს ბოლნისის, დმანისის, თეთრიწყაროსა და წალკის დელეგატი დავით შერაზადიშვილი შეხვდა სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს აღმოსავლეთ საქართველოს მუფტის, ეთიბარ ემინოვს და მასთან ერთად სოფელ არქევანში არსებული მეჩეთის შიდა სარემონტო სამუშაოებო დაათვალიერა.³⁵



4 სექტემბერი, სოფელი რიყე

2 ოქტომბერი, ადიგენი

³² ახალციხის, ადიგენის, ბორჯომისა და ასპინძის მაჟორიტარი დეპუტატის ანტონ ობოლაშვილის მოსახლეობასთან შეხვედრა ხელმისაწვდომია:

<https://www.facebook.com/photo/?fbid=1064278105700611&set=pcb.1064278342367254>

³³ ზესტაფონის, ბაღდათის, თერჯოლისა და ტყიბულის დელეგატის, ზვიად შალამბერიძის მოსახლეობასთან შეხვედრა, ხელმისაწვდომია: <https://www.facebook.com/photo/?fbid=982972943843142&set=pcb.982973153843121>

³⁴ ხობისა და სენაკის დელეგატის გიორგი ხახუბიას მიერ ჩატარებულ შეხვედრა, ხელმისაწვდომია:

<https://www.facebook.com/photo.php?fbid=1078643500928171&set=pb.100063475939607.-2207520000&type=3>

³⁵ ბოლნისის, დმანისის, თეთრიწყაროსა და წალკის დელეგატის დავით შერაზადიშვილისა და სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს აღმოსავლეთ საქართველოს მუფტის, ეთიბარ ემინოვის შეხვედრა, ხელმისაწვდომია: <https://www.facebook.com/photo/?fbid=961642655997037&set=pb.100064539348673.-2207520000>

4. „ქართული ოცნების“ ლიდერების შეხვედრები სასულიერო პირებთან წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში

საარჩევნო კამპანიის დაწყებისთანავე ინტენსიური გახდა „ქართული ოცნების“ ლიდერების ვიზიტები მართლმადიდებლურ ტაძრებსა და სამლოცველოებში. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით აქტიური იყო პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე:

- 31 აგვისტო - პრემიერ-მინისტრი ტყიბულში ვიზიტის ფარგლებში, შეხვდა სასულიერო პირებსაც.³⁶
- 8 სექტემბერი - ირაკლი კობახიძის, კახა კალაძისა და შალვა პაპუაშვილის ვიზიტი შალვა ახალციხელის სახელობის ტაძარში. პატრიარქის ქორეპისკოპოსმა, ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტმა თეოდორემ პრემიერ-მინისტრს საჩუქრად ხატი გადასცა.³⁷
- 11 სექტემბერი - ირაკლი კობახიძისა და შალვა პაპუაშვილის ვიზიტი ძღვევიჯვრის წმინდა გიორგის დედათა მონასტერში, სადაც მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა და დედათა მონასტრის წინამძღვარმა, სქემ-მონაზონმა ვალერია სხილაძემ ხელისუფლების წარმომადგენლებს უმასპინძლეს.³⁸



³⁶ ირაკლი კობახიძის ვიზიტი ტყიბულში, ხელმისაწვდომია:


<https://www.facebook.com/photo/?fbid=1057708649046099&set=pcb.1057712932379004>

³⁷ ირაკლი კობახიძის, კახა კალაძისა და შალვა პაპუაშვილის ვიზიტი ახალციხეში,

ხელმისაწვდომია: <https://www.facebook.com/photo.php?fbid=1063089635174667&set=pb.100044209220798.-2207520000&type=3>

³⁸ ირაკლი კობახიძისა და შალვა პაპუაშვილის ვიზიტი ძღვევიჯვრის წმინდა გიორგის დედათა მონასტერში, ხელმისაწვდომია: <https://www.facebook.com/photo.php?fbid=1064903468326617&set=pb.100044209220798.-2207520000&type=3>

- 27 სექტემბერი - პრემიერ-მინისტრი სიონის საკათედრო ტაძარში ჯვართამაღლების დღესასწაულთან დაკავშირებულ საზეიმო წირვას დაესწრო. ტაძარში წირვა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ ტახტის მოსაყდრე, სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტ შიოსა და სამღვდლოებასთან ერთად აღავლინა.³⁹
- 1-ელი ოქტომბერი - ახმეტის მუნიციპალიტეტში „ბიძინაობა 2024“ აღინიშნა. გამართულ ღონისძიებას მიტროპოლიტი მეუფე დავითი და პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი ესწრებოდნენ.⁴⁰
- 14 ოქტომბერი - ირაკლი კობახიძისა და შალვა პაპუაშვილის ვიზიტი სვეტიცხოვლის ტაძარში. პრემიერ-მინისტრმა შეკრებილ მრევლს ამბიონიდან მიმართა.⁴¹
- 16 ოქტომბერი - საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ახალი შენობის გახსნას მმართველი გუნდის ლიდერები ირაკლი კობახიძე, კახა კალაძე და შალვა პაპუაშვილი ესწრებოდნენ. ღონისძიებას ესწრებოდნენ მაღალი რანგის სასულიერო პირები.⁴²
- 22 ოქტომბერი - ირაკლი კობახიძე ყულევის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის პროექტის პრეზენტაციას დაესწრო. ღონისძიებაზე ასევე იმყოფებოდა სასულიერო პირი.⁴³



14 ოქტომბერი, მცხეთა

³⁹ პრემიერ-მინისტრი სიონის საკათედრო ტაძარში ჯვართამაღლების დღესასწაულთან დაკავშირებულ საზეიმო წირვას დაესწრო, ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/pGQTV>

⁴⁰ ახმეტის მუნიციპალიტეტში აღინიშნა „ბიძინაობა 2024“. გამართულ ღონისძიებას მიტროპოლიტი მეუფე დავითი და პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი ესწრებოდნენ, ხელმისაწვდომია: <https://www.facebook.com/photo/?fbid=967027405452917&set=pcb.967036605451997>

⁴¹ ირაკლი კობახიძისა და შალვა პაპუაშვილის ვიზიტი სვეტიცხოვლის ტაძარში, ხელმისაწვდომია: <https://www.facebook.com/photo/?fbid=1088809322602698&set=pb.100044209220798.-2207520000>

⁴² საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ახალი შენობის გახსნა, ხელმისაწვდომია: <https://1tv.ge/news/saqartvelos-pirveli-arkhis-akhali-shenoba-istoriuli-dghe-pirveli-arkhistvis/>

⁴³ ყულევის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის პროექტის პრეზენტაცია, ხელმისაწვდომია: <https://www.facebook.com/photo.php?fbid=1094694012014229&set=pb.100044209220798.-2207520000&type=3>

5. „ქართული ოცნების“ მიერ მართლმადიდებელი ეკლესიისათვის წინასაარჩევნოდ გადახდილი ხარკი

ფსევდორელიგიური კანონების მიღების გარდა, მმართველი გუნდი მართლმადიდებელი ეკლესიისა და მისი მრევლის კეთილგანწყობის მოპოვებას საპატრიარქოსთვის სახელმწიფო საკუთრების და საბიუჯეტო თანხების გადაცემითაც ცდილობდა. 2024 წლის 13 სექტემბერს პრემიერ-მინისტრმა გამოსცა სამი განკარგულება, რომელთა მიხედვითაც **საპატრიარქომ სახელმწიფოსგან მიწის სამი ნაკვეთი მიიღო, მათგან ორი - ჰირდაპირი მიყიდვის ფორმით, ერთ ლარად, ერთი კი – უსასყიდლო უზრუნველყოფის უფლებით, 99 წლის ვადით:**

1. გორში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ფართობი 215,389 კვადრატული მეტრია. ქონების ეროვნულმა სააგენტომ, პრემიერ-მინისტრის ბრძანების შესაბამისად, მიწის ნაკვეთს საპატრიარქოს 99-წლიანი სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადასცა.⁴⁴
2. საპატრიარქომ სახელმწიფოსგან 1 ლარად იყიდა 1,004 კვადრატული მეტრის ფართობის მიწის ნაკვეთი თბილისში, ნუცუბიძეს პლატოზე, ლეო და ნოდარ გაბუნიების #41ა-ში, მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობებით.⁴⁵
3. მცხეთის მუნიციპალიტეტში მდებარე 5,670 კვ/მ მიწის ნაკვეთი საპატრიარქოს ერთ ლარად გადაეცა.⁴⁶

ჯამში, საპატრიარქომ 2024 წლის 26 ოქტომბრამდე **222.063 კვადრატული მეტრის მიწის ნაკვეთები მიიღო.**

პრემიერ-მინისტრის 2024 წლის 15 მარტის განკარგულებით, საპატრიარქოს სკოლა-გიმნაზიების, პროფესიული კოლეჯების და განათლებისა და კულტურის დონისძიებების განვითარების ფონდის დასაფინანსებლად **35 მილიონი** ლარი გამოიყო.⁴⁷

⁴⁴ საქართველოს მთავრობის განკარგულება, ხელმისაწვდომია: https://www.gov.ge/files/602_89620_461585_1320.pdf

⁴⁵ საქართველოს მთავრობის განკარგულება, ხელმისაწვდომია: https://www.gov.ge/files/602_89619_523961_1319.pdf

⁴⁶ საქართველოს მთავრობის განკარგულება, ხელმისაწვდომია: https://www.gov.ge/files/602_89616_880497_1316.pdf

⁴⁷ საქართველოს მთავრობის განკარგულება, ხელმისაწვდომია: https://www.gov.ge/files/602_87825_512495_375.pdf

ასევე, 2024 წლის 14 აგვისტოს განკარგულებით, **2 მილიონი** ლარით დაფინანსდა საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის უნივერსიტეტი. მიუხედავად იმისა, რომ ეკლესიას ყოველწლიური დაფინანსება **25 მილიონი** ლარი აქვს, საპარლამენტო არჩევნების წინ მიღებული განკარგულებების მიხედვით, **საპატრიარქოს დაფინანსებამ 64 მილიონი ლარი შეადგინა.**⁴⁸

საპატრიარქოს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონებით დასაჩუქრების მავნე პრაქტიკა **არჩევნების შემდეგაც** გაგრძელდა. ირაკლი კობახიძემ 2024 წლის 2 დეკემბრის ოთხი განკარგულებით ეკლესიას ოთხი დიდი მიწის ნაკვეთი და მასზე დამატებული შენობები გადასცა:

1. ეკლესიას პირდაპირი მიყიდვის ფორმით, ერთ ლარად გადაეცა დაბა მანგლისში მდებარე **3,194 მ²** არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი და ამ ნაკვეთზე დამატებული 3 შენობა.⁴⁹
2. ხობის მუნიციპალიტეტში, სოფელ პირველ მაისში მდებარე **12,183 მ²** სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი ეკლესიას ერთ ლარად გადასცეს. იმავე განკარგულების მიხედვით, ირაკლი კობახიძემ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრს თანხმობა მისცა, ეკლესიას უსასყიდლო უზუფრუქტის წესით გადასცეს მომიჯნავედ არსებული **3,877 მ²** მიწის ნაკვეთი და მასზე დამატებული ნაგებობები ხელშეკრულების გაფორმებიდან 99 წლის ვადით.⁵⁰
3. ეკლესიას პირდაპირი მიყიდვის ფორმით, სიმბოლურ ფასად, ერთ ლარად საკუთრებაში გადაეცა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების **296 მ²** მიწის ნაკვეთი ქუთაისში, ირაკლი აბაშიძის გამზირზე, #27-ის მიმდებარედ. ამ განკარგულების შესრულების უზრუნველყოფა დაევალა ქონების ეროვნულ სააგენტოს.⁵¹
4. ეკლესიას პირდაპირი მიყიდვის ფორმით, ერთ ლარად გადაეცა ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში, სოფელ ჭოლაში მდებარე **3,125 მ²** მიწა.⁵²

⁴⁸ საქართველოს მთავრობის განკარგულება,

ხელმისაწვდომია: https://www.gov.ge/files/602_89320_832707_1142.pdf

⁴⁹ მთავრობის განკარგულება, ხელმისაწვდომია: https://www.gov.ge/files/602_90509_937109_1741.pdf

⁵⁰ მთავრობის განკარგულება, ხელმისაწვდომია: https://www.gov.ge/files/602_90508_763351_1740.pdf

⁵¹ მთავრობის განკარგულება, ხელმისაწვდომია: https://www.gov.ge/files/602_90507_779940_1739.pdf

⁵² მთავრობის განკარგულება, ხელმისაწვდომია: https://www.gov.ge/files/602_90506_190836_1738.pdf

6. სასულიერო პირების პროსახელისუფლებო განცხადებები კენჭისყრის დღეს და არჩევნების შემდგომ

წინასაარჩევნო კამპანიის მსგავსად, სასულიერო პირებმა პროსახელისუფლებო განცხადებები გააკეთეს კენჭისყრის დღესაც. მათ განცხადებებში გაჟღერებული თემები: მშვიდობა, „ოჯახური ღირებულებები“, ლგბტ თემი და „უცხოური ძალები“ „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო კამპანიის მთავარი გზავნილები იყო.

25 ოქტომბერს, კენჭისყრის დღემდე რამდენიმე საათით ადრე, დეკანოზმა შალვა კეკელიამ ტელეკომპანია „იმედის“ გადაცემაში „არჩევანის პირისპირ,“ ხაზი გაუსვა, რომ ყველა ადამიანმა დამოუკიდებლად უნდა გააკეთოს არჩევანი, თუმცა, ამავდროულად, თავის მრევლს „შეახსენა“, რომ იმ პირების გამარჯვების შემთხვევაში, ვისაც „ლგბტ პროპაგანდა არაფრად მიაჩნია“, საქართველოში ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონდებოდა.

„მე არ მინდა, ჩემს ქვეყანაშიც ასე მოხდეს და მარტივად ვუყუროთ ლგბტ პროპაგანდას. ჩემს მრევლს გუშინ მოვუწოდებ კიდევაც, რადგანაც მრევლი აზრს მეკითხებოდა, რომ ადამიანებმა არჩევანი თვითონ უნდა გააკეთონ. მე მათ ვუთხარი, რომ ადამიანები, რომლებიც არიან შენი უკლესიის მაგინებლები, შენი პატრიარქის მაგინებლები, რომელთათვისაც არაფერს ნიშნავს ლგბტ პროპაგანდა და მიაჩნია, რომ არაფერია, ასე რომ იყოს და შემდეგ, თუ ისინი გაიმარჯვებენ, დმურთმა დაგვიფაროს, ისინი შემდეგ ამ კანონს მიიღებენ, ერთნაირსქესიანთა ქორწინებასაც მიიღებენ.“⁵³

26 ოქტომბერს საპატრიარქო ტახტის მოსაყდრემ მეუფე შიომ გააკეთა განცხადება, რომლის მიხედვითაც, საჭიროა საღმრთო გზით სიარული. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ აუცილებელია ქრისტიანული ღირებულებების შენარჩუნება: „აუცილებელია მთავარი ღირებულებების გადარჩენა და შენარჩუნება. ეს არის ჩვენი ქრისტიანული ღირებულებები და უკლესია. მაქვს იმედი, დღევანდელი დღე, არჩევნები იქნება საწინდარი და დიდი გადადგმული ნაბიჯი ამ მიზნისკენ.“⁵⁴

⁵³ imedinews.ge, 25 ოქტომბერი 2024 წელი, „მამა შალვა: გვეუბნებიან, რომ, როგორც ჩვენ გვინდა, ისე იქნებით - როგორც თქვენ გინდათ კი არა, ჩვენ გადაგიწყვეტთ ყველაფერს. ჩემთვის ეს ძალიან მიუღებელია. ყველა, ვინც არჩევანს გააკეთებს, ის თავის არჩევანზეა პასუხისმგებელი“, ხელიმისაწვდომია: <https://shorturl.at/KkR4B>

⁵⁴ 1tv.ge, 26 ოქტომბერი 2024 წელი, „მეუფე შიომ - ერმა ღირსეული ადგილი რომ დაიმკვიდროს მსოფლიოს მომავალ წყობაში, აუცილებელია მთავარი ღირებულებების გადარჩენა, იმედი მაქვს, არჩევნები ამ მიზნისკენ გადადგმული ნაბიჯი იქნება,“ ხელიმისაწვდომია: <https://shorturl.at/6wOVg>

26 ოქტომბერს განცხადება საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა დეკანოზმა ანდრია ჯალმაიძემაც გაავრცელა. მისი თქმით, არჩევნები არის უნიკალური შემთხვევა, როდესაც თითოეულ მოქალაქეს შეუძლია ქვეყნის მომავლისთვის წვლილი შეიტანოს, არჩევანი გააკეთოს და ამ არჩევანის მიხედვით შემდგომ ქვეყანაში მოვლენები განვითარდეს. მან საქართველოს კეთილი მომავალი, **მშვიდობა და ქვეყნისთვის ღირებულებების შენარჩუნება უსურვა.**⁵⁵

კენჭისყრის მეორე დღეს, 27 ოქტომბერს ქადაგებაში დეკანოზმა ალექსანდრე ბოლქვაძემ არჩევნების შედეგები შეაფასა. მისი თქმით, ქართველი ხალხის დიდ ნაწილს ქრისტიანული სულისკვეთება აქვს, თუმცა დეკანოზმა დანაწილებით აღნიშნა, რომ მისი მოლოდინით, მმართველ გუნდს უფრო მეტი ადამიანი მისცემდა ხმას: „**მე ვარ ბედნიერი. ერთი ხინჯი მაქვს, მეგონა, უფრო მეტი მისცემდა ხმას. ხალხის უმეტესი ნაწილი ქრისტიანული სულისკვეთებითაა. ეს მე ძალიან მახარებს.**“⁵⁶

ბოდბელი ეპისკოპოსის, მეუფე იაკობის შეფასებით, არჩევნებზე ძალთა ბალანსი აბსოლუტურად სწორად გაიყო. 3 ნოემბრის ქადაგებაში მან საქართველოს პრეზიდენტსა და ქალ ოპოზიციონერებს მიმართა. მისი თქმით, **მათ მხოლოდ უცხოელებისთვის თავის მოწონება სურთ:** „**მინდა, მივმართო ჩვენს პრეზიდენტს და ქალბატონებს ოპოზიციიდან, რას მოგვცემს ეს ქუჩის აქციები?! დღეს ჩვენ თუ ასე მოვექცებით ერთმანეთს, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონზე ფიქრი გამორიცხულია. ვისი შვილის სისხლის დაღვრა გინდათ? დაფიქრდით ამაზე, რას იცავთ? საუბრობთ იმიტომ, რომ, გინდათ უცხოელს მოაწონოთ თავი, თორემ საქართველოსთვის რას აკეთებთ? ხომ შეიძლება ვიცხოვროთ ისე, რომ, აი, დამთავრდა არჩევნები და ყველამ ერთად ვაკეთოთ საქმე – გავაძლიეროთ საქართველო.**“⁵⁷

ცესკოს მიერ კენჭისყრის შედეგების შეჯამების შემდეგ საპატრიარქოს ოფიციალურ ფეისბუქგვერდზე განთავსებული განცხადების მიხედვით, მმართველ გუნდს გამარჯვება მიულოცა კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ. გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ **კიდევ ერთხელ დადასტურდა „ქართული ოცნების“ დიდი უმრავლესობით გამარჯვება.** განცხადებაში ხაზგასმულია, რომ, მართალია, ოპოზიცია არჩევნების შედეგს აპროტესტებს და წინააღმდეგობის გაგრძელებას გეგმავს, თუმცა,

⁵⁵ imedinews.ge, დეკანოზი ანდრია: ვუსურვებ საქართველოს კეთილ მომავალს, მშვიდობას და ვუსურვებ, რომ ღირებულებები, რაც ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, იყოს ძალიან მყარად ჩვენს ცნობიერებაში, 26 ოქტომბერი 2024 წელი, ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/VNd7K>

⁵⁶ მამა ალექსანდრე ბოლქვაძის ქადაგება, ხელმისაწვდომია: <https://www.youtube.com/watch?v=n57fP9o2eNY>

⁵⁷ 1tv.ge, 3 ნოემბერი 2024 წელი, „მეუფე იაკობი - მინდა, მივმართო ჩვენს პრეზიდენტს და ქალბატონებს ოპოზიციიდან, რას მოგვცემს ეს ქუჩის აქციები, ვისი შვილის სისხლის დაღვრა გინდათ, რას იცავთ? დაფიქრდით ამაზე“, ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/8EmgT>

ის გამოთქვამს იმედს, რომ ხელისუფლება და ოპოზიცია შეძლებენ, შემდგომი წლები გამოიყენონ ქვეყნის წინსვლისა და კეთილდღეობისთვის.⁵⁸

საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის განცხადებას გამოეხმაურა ირაკლი კობახიძე, რომელმაც ილია II-ს მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ მისი გზავნილები ძალიან საყურადღებოა.⁵⁹

2024 წლის 26 ოქტომბრის შემდეგ სასულიერო პირების ნაწილმა „ქართულ ოცნებას“ არჩევნებში „გამარჯვება“ მიულოცა. ხონისა და სამტრედიის მიტროპოლიტის მეუფე საბას შეფასებით, არჩევნები ჩატარდა, პატრიარქმა „ქართული ოცნება“ დალოცა და, შესაბამისად, ქართველმა ერმა მოცემული შედეგი უნდა მიიღოს. მისი განცხადებით, თუ ადამიანს ქვეყანა უყვარს და მშვიდობა სურს, **აუცილებელია პატრიარქს და-უჯეროს და სხვა ქვეყნებიდან ლეგიტიმაციას არ ელოდოს: „პატრიარქზე მეტი ვინ უნდა იყოს, ვინც, ასე ვთქვათ, ეგრეთ წოდებული, ლეგიტიმაცია უნდა გვითხრას ამ მოვლენებისა?“**⁶⁰

იდენტური შინაარსის განცხადება გააკეთა მეუფე იაკობმაც, რომელმაც თავის ქადაგებაში მრევლს მოუწოდა, **არჩევნების შედეგებს შეეგუონ**. მან ასევე ხაზი გაუსვა იმას, რომ მმართველი გუნდის წინასაარჩევნო პროგრამა **ეროვნული იყო**, ხოლო ოპოზიციური პარტიების იმაზე იყო მორგებული, რომ **უცხოელებისთვის თავი მოეწონებინათ**.⁶¹

„ქართულ ოცნებას“ ეროვნული უწოდა მეუფე იობმა. მისი თქმით, ზვიად გამსახურდიას შემდგომ ეს მეორე მთავრობაა, რომელმაც **ეროვნულ პლატფორმაზე დააყენა საქართველო**.⁶²

„ქართულ ოცნებას“ დიდი მადლობა გადაუხადა ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტმა თეოდორემ და 8 ნოემბერს განაცხადა: „დიდი მადლობა მინდა გადაუხადო **ჩვენი ქვეყნის, ჩვენი სამშობლოს პირველ პირებს**, რომლებიც ცდილობენ, რომ ჩვენი ქვეყანა ამ გზაზე ატარონ და დიდი მადლობა ჩვენს ხალხს, რომელმაც ყველანაირ კეთილდღეობას, ყველანაირ სხვაგვარად დაფასებას ამჯობინა, რომ უფალ-თან იყოს და უფლის გზაზე იაროს.“⁶³

⁵⁸ საქართველოს საპატრიარქოს განცხადება, ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/FPIu3> radiotavisupleba.ge, „ირაკლი კობახიძე: მადლობა ცესკოს, მადლობა პატრიარქს“, 17 ნოემბერი 2024 წელი, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/33205332.html>

⁶⁰ მეუფე საბას ქადაგება, ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/x1v2i>

⁶¹ მეუფე იაკობის ქადაგება, ხელმისაწვდომია: <https://rustavi2.ge/ka/news/301939>

⁶² მეუფე იობის განცხადება, ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/VxbXQ>


⁶³ მეუფე თეოდორეს განცხადება, ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/k1Gne>

7. სასულიერო პირების მხარდაჭერა ღიად პრორუსული პოლიტიკური სუბიექტების მიმართ

კიდევ ერთი პოლიტიკური ძალა, რომელსაც სასულიერო პირები ღიად უცხადებენ მხარდაჭერას, ღიად პრორუსული ულტრამემარჯვენე პოლიტიკური პარტია „პატრიოტთა ალიანსი“ იყო, რომელიც საპარლამენტო არჩევნებში პროკრემლისტურ „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფოს“ ლიდერებთან ერთად იღებდა მონაწილეობას. შეკრებებზე დასწრების გარდა, სასულიერო პირებმა **პოლიტიკური ძალის საარჩევნოდ გახსნილი რეგიონული ოფისებიც აკურთხეს.**

„კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფოს“ ლიდერებმა, „პატრიოტთა ალიანსის“ წარმომადგენლებთან ერთად, წინასაარჩევნოდ თბილისში - 11, ხოლო რეგიონებში 26 შეხვედრა ჩაატარეს. **37 შეხვედრიდან 11 შეხვედრას სასულიერო პირები ესწრებოდნენ:**

- პირველი რეგიონული შეხვედრა „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფოს“ ლიდერებმა 2024 წლის 4 აგვისტოს რუსთავში ჩაატარეს. შეხვედრას სასულიერო პირი ესწრებოდა.⁶⁴
- მეორე რეგიონული შეხვედრა 25 აგვისტოს ჩატარდა. ბათუმში ჩატარებულ შეხვედრას სასულიერო პირი ესწრებოდა.⁶⁵
- 1-ელ სექტემბერს „პატრიოტთა ალიანსმა“ თერჯოლაში რეგიონული ოფისი გახსნა, რომელიც მეუფე სპირიდონ ცქიფურიშვილმა აკურთხა.⁶⁶



⁶⁴ „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფოს“ შეხვედრა რუსთავში, ხელმისაწვდომია:

<https://drive.google.com/file/d/1A-6bfb0FUF5UHfLw4FcyNT75tJBQnjVN/view?usp=sharing>

⁶⁵ „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფოს“ შეხვედრა ბათუმში, ხელმისაწვდომია:

<https://drive.google.com/file/d/1cd1hYNEgRfOLFpLs6JGLi9gAQE67Ub/view?usp=sharing>

⁶⁶ რეგიონული ოფისის კურთხევა თერჯოლაში, ხელმისაწვდომია:

<https://drive.google.com/file/d/14hytKIPPtSjxTF8RtfQVN6DPcxyJt0Qw/view?usp=sharing>

- 6 სექტემბერს ზესტაფონში გაიმართა „ალტ-ინფოს“, „პატრიოტთა ალიანსისა“ და „ქართული იდეის“ თანამოაზრეებთან შეხვედრა. შეხვედრას სასულიერო პირი ესწრებოდა.⁶⁷
- 8 სექტემბერს „პატრიოტთა ალიანსის“ რეგიონულ შეხვედრას ქუთაისში სასულიერო პირი ესწრებოდა.⁶⁸
- 14 სექტემბრის გამართულ რეგიონულ შეხვედრებს ოზურგეთში,⁶⁹ სამტრედიაში,⁷⁰ თერჯოლასა⁷¹ და ზესტაფონში⁷² სასულიერო პირები ესწრებოდნენ.



📍 14 სექტემბერი, თერჯოლა

- „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფოს“ ლიდერებმა საგარეჯოში წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მოძღვრის, მამა გიორგი პავლოვისგან კურთხევა მიიღეს. მამა გიორგიმ განაცხადა: „ყველაფერი დამთავრდება ეროვნულ-პატრიოტული ძალების გამარჯვებით - მილიონჯერ მითევამს ეს.“⁷³

⁶⁷ რადიკალური დაჯგუფების ვიზიტი ზესტაფონში, ხელმისაწვდომია:

https://drive.google.com/file/d/1aMQpCxLw9wJJTgrRuUeLyyeSzDjZx7V_/view?usp=sharing

⁶⁸ რადიკალური დაჯგუფების შეხვედრა ქუთაისში, ხელმისაწვდომია:

<https://drive.google.com/file/d/1ofedF5YEt90NfZ3rRCx2UHRunaj6XdfE/view?usp=sharing>

⁶⁹ რადიკალური დაჯგუფების შეხვედრა სამტრედიაში, ხელმისაწვდომია:

<https://drive.google.com/file/d/1TIPZEiWx3LvUSmVcGgKEM1aWc3iVDMY7/view?usp=sharing>

⁷⁰ რადიკალური დაჯგუფების შეხვედრა ოზურგეთში, ხელმისაწვდომია:

https://drive.google.com/file/d/1JcvVf4KBC_8Yd1dxo4ULObzOScndTNXe/view?usp=sharing

⁷¹ რადიკალური დაჯგუფების შეხვედრა ზესტაფონში, ხელმისაწვდომია:

https://drive.google.com/file/d/1aMQpCxLw9wJJTgrRuUeLyyeSzDjZx7V_/view?usp=sharing


⁷² რადიკალური დაჯგუფების შეხვედრა თერჯოლაში, ხელმისაწვდომია:

<https://drive.google.com/file/d/1qgK8BRBwKCN5eJLB8QSiL9TClSAtG5sr/view?usp=sharing>

⁷³ „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფოს“ ლიდერებმა საგარეჯოში წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მოძღვრის, მამა გიორგი პავლოვისგან კურთხევა მიიღეს, ხელმისაწვდომია:

<https://drive.google.com/file/d/16ix6zZGaYmn9pUGPNLEfnsgDqRlw7lCo/view?usp=sharing>

- 28 სექტემბერი - რადიკალური დაჯგუფების მიერ ქარელში გამართულ შეხვედრას სასულიერო პირი ესწრებოდა.⁷⁴
- 5 ოქტომბერს, „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფოს“ ლიდერებმა შეხვედრა გამართეს აბაშაში, რომელსაც სასულიერო პირი ესწრებოდა.
- 6 ოქტომბერს, ულტრამემარჯვენე ჯგუფებმა შეხვედრა გამართეს, თბილისში, ზემო ბეთლემის ტაძართან, რომელსაც სასულიერო პირები ესწრებოდნენ.⁷⁵



- 6 ოქტომბერს ულტრამემარჯვენე დაჯგუფების მიერ ზუგდიდში ჩატარებულ წინასაარჩევნო შეხვედრას სასულიერო პირი ესწრებოდა.⁷⁶

8 ოქტომბერს პარტია „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფოს“ ღია მხარდაჭერა გამოუცხადა დეკანოზმა ბასილ ახვლედიანმა და გადაცემაში „ალტერნატიული ხედვა“ წინასაარჩევნო გარემოს შეფასებისას განაცხადა: „მე „ალტ-ინფოს“ აღვიქვამ, როგორც განგაშის ზარს, ღვთის წყალობით მოვლენილს. მე მათ პოლიტიკოსებსაც ვერ დავარქმევ. ეს არის ღვთისგან მოვლენილი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ჯგუფი; ღვთისგან მოვლენილი ადამიანები, რომლებიც ცდილობენ, ამ ჭაობისგან გაგვათავისუფლონ.“⁷⁷


⁷⁴ რადიკალური დაჯგუფების წინასაარჩევნო შეხვედრა ქარელში, ხელმისაწვდომია: <https://drive.google.com/file/d/13Ri5l6QVcTgUeqUa1mGk6bCL3nty9aO5/view?usp=sharing>

⁷⁵ რადიკალური დაჯგუფების შეხვედრა თბილისში, ზემო ბეთლემის ტაძარში, ხელმისაწვდომია: <https://drive.google.com/file/d/1nEnK9raLLDQN3tMeuRtYp3Ooot5YMzTd/view?usp=sharing>

⁷⁶ რადიკალური დაჯგუფების წინასაარჩევნო შეხვედრა ზუგდიდში, ხელმისაწვდომია: <https://drive.google.com/file/d/1ifKsrkuXTEskINL5QeuW77TAiswYW3CO/view?usp=sharing>

⁷⁷ დეკანოზი ბასილ ახვლედიანი გადაცემაში „ალტერნატიული ხედვა“, ხელმისაწვდომია: <https://www.youtube.com/watch?v=0v36ALfz4XY&t=1407s>

დეკანოზმა ბასილ ახვლედიანმა ერთ-ერთი ქადაგებისას პირდაპირ და ღიად მოუწოდა მრევლს „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფოს“ მხარდაჭერისკენ და განაცხადა: „ალტ-ინფოს ბიჭები არიან მოვლენა ჩვენს ქვეყანაში. ისინი ქადაგებენ ჭეშმარიტებას და მათ ერთადერთი სჭირდებათ - ჩვენი მხარდაჭერა. კულისებში ერთმანეთთან ვსაუბრობთ, რომ არჩევნებზე ყველა ვხაზავთ 8 ნომერს, მაგრამ საჯაროდ ამის გამოხატვას ვერიდებით. უნდა გვახსოვდეს, რომ ამგვარი მდგომარეობა არ არის ნორმალური.“⁷⁸




არჩევნების წინ საზოგადოებას „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ მხარდაჭერისკენ მოუწოდა⁷⁹ დეკანოზმა სპირიდონ ცქიფურიძემ. სოციალურ ქსელებში გავრცელდა დეკანოზის საარჩევნო მოწოდება, სადაც ის მიმართავს საზოგადოებას: „ქუდზე კაცი, არავინ არ ვრჩებით სახლში, მეზობლები, ნათესავები, უბნელები - ყველანი მივდივართ არჩევნებში და ვაფერადებთ 8 ნომერს, ქართულ საქართველოს.“ ვიდეორგოლს თან ახლავს დეკანოზის ფოტოსურათი, სადაც მას ხელში უჭირავს „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფოს“ ლიდერების მხარდამჭერი საარჩევნო პლაკატი. დეკანოზმა კენჭისყრის შემდეგ, 3 ნოემბერს გაავრცელა მიმართვა, სადაც კიდევ

⁷⁸ დეკანოზი ბასილ ახვლედიანის ქადაგება, ხელმისაწვდომია: <https://www.youtube.com/watch?v=U3S1hPvRlFy> - ამ უტაპზე გვერდი წაშლილია. (ანგარიშში მოცემულია აღნიშნული ვიდეომიმართვის ფოტო)

⁷⁹ დეკანოზი სპირიდონ ცქიფურიძის წინსაარჩევნო მიმართვა, ხელმისაწვდომია: <https://www.youtube.com/watch?v=Ekjh8kKzK-4>

ერთხელ ღიად დააფიქსირა თავისი კეთილგანწყობა „კონსერვატიული მოძრაობა/ ალტ-ინფოს“ მიმართ. დეკანოზმა დაგმო, როგორც „ქართული ოცნების,“ ასევე, ოპოზიციური პარტიების პოლიტიკა. ერთი მხრივ, მოუწოდა მრევლს, არ ჩაერთონ ოპოზიციური ძალების მიერ ორგანიზებულ საპროტესტო აქციებში, ხოლო მეორე მხრივ, მიმართა ხელისუფლების მხარდამჭერებს, რომ „ზღაპარი, სახელწოდებით - „ოცნება ნაცებს ასრულებს“ დამთავრდა და დროა, მხარი დაუჭირონ რეალურ ქრისტიანულ და კონსერვატიულ ძალებს“.

კენჭისყრის დღემდე რამდენიმე დღით ადრე, კერძოდ, 24 ოქტომბერს, „ალტ-ინფოს“ ეთერში გავრცელდა⁸⁰ დეკანოზ დავით რუხაძის მიმართვა, სადაც მან საზოგადოებას მოუწოდა, მხარი დაეჭირათ „ღვთისმშობლი პიროვნებებისთვის“, რომლებიც „იქნებიან დედაკლესიის წიაღში. ქვეყნისთვის მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს მიიღებენ მხოლოდ ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე და არა გარე ძალების კარნახით. არ გავაკეთებდი არჩევანს არაკლესიურ ან მოჩვენებით უკლესიურ ხალხზე.“ მიმართვაში გამოიკვეთა ირიბი მხარდაჭერა „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფოს“ მიმართ და ნეგატიური განწყობები, როგორც ხელისუფლების, ასევე, ძირითადი ოპოზიციური ძალების მიმართ.



⁸⁰ დეკანოზი დავით რუხაძის წინასაარჩევნო მიმართვა; ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/C5LLn>